ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

ნომერი: 12-032430229-03
თარიღი: 28.10.2024 17:31
ვადა: 27.11.2024

განმცხადებელი (დაინტერესებული პირი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: შარტავას ქ. 7ა
საკონტაქტო ინფორმაცია: (+995 32) 2 72 22 22;
განცხადების N: 01-01243022970 განცხადების თარიღი: 28.10.2024
ხელმომწერი: კახა კალაძე თანამდებობა: მერი

განცხადება/ნომენკლატურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
თავისუფალი განცხადება

მოთხოვნის ტექსტი

გრგ ძალადაკარგულობის და სარევიზიოდან ამოღების პროექტის გადაგზავნა

დამატებითი ინფორმაცია

- ფურცლების რაოდენობა: 0
- დანართი: -
- პასუხის გაცემის ფორმა:

ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო
№ 12-032430229-03
28.10.2024 : 17:31
თბილისი, 0114, თავისუფლების მოედანი N2

წერილის ნომერი: **01-01243022970**
თარიღი: **28/10/2024**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს,

ბატონ გიორგი ტყემალაძეს

ბატონო გიორგი,

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ:

1) ,,ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, უნივერსიტეტის ტერიტორიასა და ქავთარაძის ქუჩას შორის არსებულ მიწის ნაკვეთებზე'' ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 27 ივნისის N01/783 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პროექტსა და

2) „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს.

აღნიშნული პროექტები მოწონებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 23 ოქტომბრის N24.1783.1996 განკარგულებით.

გთხოვთ, საკითხი განიხილოთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომაზე.

დანართი: 17 (ჩვიდმეტი) ფურცელი.

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 23 ოქტომბრის N24.1783.1996 განკარგულება - 6 ფურცელი.

2. ,,ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, უნივერსიტეტის ტერიტორიასა და ქავთარაძის ქუჩას შორის არსებულ მიწის ნაკვეთებზე'' ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 27 ივნისის N01/783 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულების პროექტი და განმარტებითი ბარათი - 6 ფურცელი;

3. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და განმარტებითი ბარათი - 4 ფურცელი;

4. გრაფიკული დანართი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი - რუკა''- 1 ფურცელი.

პატივისცემით,

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

განკარგულება - N 24.1783.1996
23 / ოქტომბერი / 2024 წ.

,,ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, უნივერსიტეტის ტერიტორიასა და ქავთარაძის ქუჩას შორის არსებულ მიწის ნაკვეთებზე'' ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 27 ივნისის N01/783 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პროექტის მოწონებისა და სარევიზიო განაშენიანების რეგულირების გეგმების ნუსხიდან ამორიცხვის შესახებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2024 წლის 28 სექტემბრის N012427213-67 განცხადებით მიმართა დავით ჯაფარიძემ (პ/ნ 01030013655) და მოითხოვა ,,ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, უნივერსიტეტის ტერიტორიასა და ქავთარაძის ქუჩას შორის არსებულ მიწის ნაკვეთებზე'' ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 27 ივნისის N01/783 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის ძალადაკარგულად გამოცხადება.

განაშენიანების რეგულირების გეგმის არეალში არსებული ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, მიხეილ შავიშვილის ქუჩა N2-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: NN01.14.04.028.081; 01.14.04.028.085; 01.14.04.028.084; 01.14.04.028.083; 01.14.04.028.082; 01.14.04.028.051; 01.14.04.028.090). განაშენიანების რეგულირების გეგმის არეალის ფართობი: 19 614 კვ.მ.

,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1); ნაწილზე - საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) და შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანება. ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით - სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) და შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანება.

N012427213-67 განაცხადზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, ,,სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს ,,ოპტიმა საბურთალოსა'' და შპს ,,ლენდისათვის'' პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2024 წლის 12 მარტის N357 განკარგულებით, განსაზღვრულია შესაბამისი პირობები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისა (სკოლის) და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საცხოვრებლის შენობა-ნაგებობ(ებ)ის მშენებლობის, ასევე, სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვრპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს (ს/ნ 205169592) სასარგებლოდ, ამავე სააგენტოს ფილიალისთვის „თბილისის ბავშვთა სახლისთვის" საჭირო შენობა-ნაგებობის სამშენებლო პროექტის მომზადების უზრუნველყოფისთვის.

შესაბამისად, ხდება განაშენიანების რეგულირების გეგმის არეალში არსებული მიწის ნაკვეთების ზემოაღნიშნული მიზნებით განვითარება.

ამასთან, ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში წარმოდგენილია სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს (წერილი: N7/56696; 02.10.2024), ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (წერილი: SCA 9 24 01090745; 16.10.2024), სსიპ - ქალაქ თბილისის N203 საჯარო სკოლის პოზიციები (წერილი: MES 9 24 0001298404; 09.10.2024), განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის ძალადაკარგულად გამოცხადებასთან დაკავშირებით.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო, მე-6 პუნქტის თანახმად ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართული სტრუქტურული ერთეულების/სხვა ადმინისტრაციული ორგანოების დასკვნის საფუძველზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა გამოსცემს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მოწონებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებისა და განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარედგინება დასამტკიცებლად, კანონმდებლობით დადგენილი წესით. ხოლო, მე-7 პუნქტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო, ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული მთავრობის განკარგულების შესაბამისად, ამზადებს თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტებს:

ა) I ეტაპი – განაშენიანების რეგულირების გეგმების გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ;

ბ) II ეტაპი – განაშენიანების რეგულირების გეგმების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

შესაბამისად, მოქმედი კანონმდებლობით, წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის ძალადაკარგულად გამოცხადებაზე უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დანართი N2-ის 73-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,დ'' ქვეპუქტის თანახმად, სარევიზიო ქალაქთმშენებლობით (განაშენიანების რეგულირების გეგმები/გეგმარებითი დავალებები) დოკუმენტს წარმოადგენს უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის ჩრდილოეთით, უნივერსიტეტისა და ვ. მამასახლისოვის ქუჩების მიმდებარედ დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმა (რევიზიის მიზნად განისაზღვროს განაშენიანების რეგულირების გეგმით გათვალისწინებული და მის კვლევით არეალში არსებული ობიექტების კანონმდებლობით დადგენილი ინსოლაციისა და ბუნებრივი განათებულობის მოქმედ რეგულაციებთან შესაბამისობის განსაზღვრა და შესაბამისი საპროექტო ცვლილებების განხორციელება);

ამავე მუხლის მე-9, მე-10, მე-11 და მე-12 პუნქტების თანახმად, ამ მუხლით გათვალისწინებული ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტების რევიზიას ახორციელებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო. რევიზიის შედეგად დგინდება საკორექციო მოთხოვნები და განვითარებისათვის შეუსაბამო ობიექტების ნუსხა, ასეთის არსებობის შემთხვევაში. რევიზიის შედეგების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას შესაბამის დასკვნას წარუდგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო. ამ დადგენილებით გათვალისწინებული რევიზიის შედეგად გამოვლენილ შეუსაბამო ობიექტებს, ასევე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით და მოცემული დადგენილების საფუძველზე განესაზღვრებათ შეუსაბამოს სტატუსი. შეუსაბამო მიწის ნაკვეთებისა და შენობა-ნაგებობების შემდგომი განვითარება (ტერიტორიის გაფართოება, ფუნქციის შეცვლა, რეკონსტრუქცია) ხორციელდება მხოლოდ შეუსაბამობის აღმოფხვრის ან შემცირების პირობით. შემცირების პირობები შესაძლებელია განისაზღვროს მესაკუთრესა და თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას შორის შეთანხმების საფუძველზე ეტაპობრივად, საბოლოო აღმოფხვრის მიზ-ნით და დამტკიცდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ.

იმავე მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად, სარევიზიო ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტი, რომლის რევიზიის შედეგად ვერ განხორციელდა მისი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით გათვალისწინებულ შინაარსობრივ მოცემულობებთან, ქალაქის განვითარების პრინციპებსა და პრიორიტეტებთან შესაბამისობაში მოყვანა, გამოცხადდეს ძალადაკარგულად მათ საფუძველზე დადგენილი ფუნქციური, შემზღუდავი და უფლებრივი ზონების ჩათვლით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი მოთხოვნითა და დასაბუთებით, შესაძლებელია ,,ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, უნივერსიტეტის ტერიტორიასა და ქავთარაძის ქუჩას შორის არსებულ მიწის ნაკვეთებზე'' ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 27 ივნისის N01/783 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის ძალადაკარგულად გამოცხადება და განაშენიანების რეგულირების გეგმის ამოღება სარევიზიო დოკუმენტაციის ნუსხიდან.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 75-ე მუხლის „ე.ბ" ქვეპუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ასევე N012427213-67 განცხადებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1.მოწონებულ იქნას:

ა) ,,ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, უნივერსიტეტის ტერიტორიასა და ქავთარაძის ქუჩას შორის არსებულ მიწის ნაკვეთებზე'' ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 27 ივნისის N01/783 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პროექტი, ამ განკარგულების დანართი 1-ის შესაბამისად;

ბ) ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული

მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ცვლილების პროექტი, ამ განკარგულების დანართი 2-ის შესაბამისად.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძეს.

3. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

____ 2024 წ. ქ. თბილისი

,,ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, უნივერსიტეტის ტერიტორიასა და ქავთარაძის ქუჩას შორის არსებულ მიწის ნაკვეთებზე'' ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 27 ივნისის N01/783 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე''

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, უნივერსიტეტის ტერიტორიასა და ქავთარაძის ქუჩას შორის არსებულ მიწის ნაკვეთებზე'' ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 27 ივნისის N01/783 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი.
2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N64).

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

,,ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, უნივერსიტეტის ტერიტორიასა და ქავთარაძის ქუჩას შორის არსებულ მიწის ნაკვეთებზე'' ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 27 ივნისის N01/783 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე''

' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განმარტებითი ბარათი

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში- პროექტი) მიღების (გამოცემის) მიზეზი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2024 წლის 28 სექტემბრის N012427213-67 განცხადებით მიმართა დავით ჯაფარიძემ (პ/ნ 01030013655) და მოითხოვა ,,ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, უნივერსიტეტის ტერიტორიასა და ქავთარაძის ქუჩას შორის არსებულ მიწის ნაკვეთებზე'' ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 27 ივნისის N01/783 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის ძალადაკარგულად გამოცხადება.

განაშენიანების რეგულირების გეგმის არეალში არსებული ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, მიხეილ შავიშვილის ქუჩა N2-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: NN01.14.04.028.081; 01.14.04.028.085; 01.14.04.028.084; 01.14.04.028.083; 01.14.04.028.082; 01.14.04.028.051; 01.14.04.028.090). განაშენიანების რეგულირების გეგმის არეალის ფართობი: 19 614 კვ.მ.

,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1); ნაწილზე - საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) და შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანება. ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით - სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) და შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანება.

N012427213-67 განაცხადზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, ,,სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს ,,ოპტიმა საბურთალოსა'' და შპს ,,ლენდისათვის''

პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2024 წლის 12 მარტის N357 განკარგულებით, განსაზღვრულია შესაბამისი პირობები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისა (სკოლის) და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საცხოვრებლის შენობა-ნაგებობ(ებ)ის მშენებლობის, ასევე, სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვრპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს (ს/ნ 205169592) სასარგებლოდ, ამავე სააგენტოს ფილიალისთვის „თბილისის ბავშვთა სახლისთვის" საჭირო შენობა-ნაგებობის სამშენებლო პროექტის მომზადების უზრუნველყოფისთვის.

შესაბამისად, ხდება განაშენიანების რეგულირების გეგმის არეალში არსებული მიწის ნაკვეთების ზემოაღნიშნული მიზნებით განვითარება.

ამასთან, ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში წარმოდგენილია სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს (წერილი: N7/56696; 02.10.2024), ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (წერილი: SCA 9 24 01090745; 16.10.2024), სსიპ - ქალაქ თბილისის N203 საჯარო სკოლის პოზიციები (წერილი: MES 9 24 0001298404; 09.10.2024), განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის ძალადაკარგულად გამოცხადებასთან დაკავშირებით.

,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დანართი N2-ის 73-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,დ" ქვეპუქტის თანახმად, სარევიზიო ქალაქთმშენებლობით (განაშენიანების რეგულირების გეგმები/გეგმარებითი დავალებები) დოკუმენტს წარმოადგენს უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის ჩრდილოეთით, უნივერსიტეტისა და ვ. მამასახლისოვის ქუჩების მიმდებარედ დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმა (რევიზიის მიზნად განისაზღვროს განაშენიანების რეგულირების გეგმით გათვალისწინებული და მის კვლევით არეალში არსებული ობიექტების კანონმდებლობით დადგენილი ინსოლაციისა და ბუნებრივი განათებულობის მოქმედ რეგულაციებთან შესაბამისობის განსაზღვრა და შესაბამისი საპროექტო ცვლილებების განხორციელება);

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი მოთხოვნითა და დასაბუთებით, შესაძლებელია ,,ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, უნივერსიტეტის ტერიტორიასა და ქავთარაძის ქუჩას შორის არსებულ მიწის ნაკვეთებზე" ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 27 ივნისის N01/783 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების

გეგმის ძალადაკარგულად გამოცხადება და განაშენიანების რეგულირების გეგმის ამოღება სარევიზიო დოკუმენტაციის ნუსხიდან.

ბ) პროექტის მიღებასთან დაკავშირებული საფინანსო- ეკონომიკური გაანგარიშება:

დადგენილების ამოქმედებისთვის საბიუჯეტო სახსრები საჭირო არ არის.

გ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

დ) პროექტის ავტორი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

ე) პროექტის წარმდგენი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №

2024 წლის ---

ქ. თბილისი

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 20/03/2019, სარეგისტრაციო კოდი: 330090020.35.101.016587) და დადგენილების:

ა) პირველი პუნქტით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი – რუკა (დანართი N1) ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით;

ბ) დანართი N2-ის 73-ე მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტი ამოღებულ იქნას.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათი

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში- პროექტი) მიღების (გამოცემის) მიზეზი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2024 წლის 28 სექტემბრის N012427213-67 განცხადებით მიმართა დავით ჯაფარიძემ (პ/ნ 01030013655) და მოითხოვა ,,ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, უნივერსიტეტის ტერიტორიასა და ქავთარაძის ქუჩას შორის არსებულ მიწის ნაკვეთებზე'' ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 27 ივნისის N01/783 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის ძალადაკარგულად გამოცხადება.

განაშენიანების რეგულირების გეგმის არეალში არსებული ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, მიხეილ შავიშვილის ქუჩა N2-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: NN01.14.04.028.081; 01.14.04.028.085; 01.14.04.028.084; 01.14.04.028.083; 01.14.04.028.082; 01.14.04.028.051; 01.14.04.028.090). განაშენიანების რეგულირების გეგმის არეალის ფართობი: 19 614 კვ.მ.

,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1); ნაწილზე - საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) და შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანება. ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით - სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) და შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანება.

N012427213-67 განაცხადზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, ,,სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს ,,ოპტიმა საბურთალოსა'' და შპს ,,ლენდისათვის'' პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2024 წლის 12 მარტის N357 განკარგულებით, განსაზღვრულია შესაბამისი პირობები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისა (სკოლის) და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საცხოვრებლის შენობა-

ნაგებობ(ებ)ის მშენებლობის, ასევე, სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვრპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს (ს/ნ 205169592) სასარგებლოდ, ამავე სააგენტოს ფილიალისთვის „თბილისის ბავშვთა სახლისთვის“ საჭირო შენობა-ნაგებობის სამშენებლო პროექტის მომზადების უზრუნველყოფისთვის.

შესაბამისად, ხდება განაშენიანების რეგულირების გეგმის არეალში არსებული მიწის ნაკვეთების ზემოაღნიშნული მიზნებით განვითარება.

ამასთან, ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში წარმოდგენილია სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს (წერილი: N7/56696; 02.10.2024), ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (წერილი: SCA 9 24 01090745; 16.10.2024), სსიპ - ქალაქ თბილისის N203 საჯარო სკოლის პოზიციები (წერილი: MES 9 24 0001298404; 09.10.2024), განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის ძალადაკარგულად გამოცხადებასთან დაკავშირებით.

,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დანართი N2-ის 73-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,დ'' ქვეპუქტის თანახმად, სარევიზიო ქალაქთმშენებლობით (განაშენიანების რეგულირების გეგმები/გეგმარებითი დავალებები) დოკუმენტს წარმოადგენს უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის ჩრდილოეთით, უნივერსიტეტისა და ვ. მამასახლისოვის ქუჩების მიმდებარედ დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმა (რევიზიის მიზნად განისაზღვროს განაშენიანების რეგულირების გეგმით გათვალისწინებული და მის კვლევით არეალში არსებული ობიექტების კანონმდებლობით დადგენილი ინსოლაციისა და ბუნებრივი განათებულობის მოქმედ რეგულაციებთან შესაბამისობის განსაზღვრა და შესაბამისი საპროექტო ცვლილებების განხორციელება);

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი მოთხოვნითა და დასაბუთებით, შესაძლებელია ,,ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, უნივერსიტეტის ტერიტორიასა და ქავთარაძის ქუჩას შორის არსებულ მიწის ნაკვეთებზე'' ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 27 ივნისის N01/783 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის ძალადაკარგულად გამოცხადება და განაშენიანების რეგულირების გეგმის ამოღება სარევიზიო დოკუმენტაციის ნუსხიდან.

ბ) პროექტის მიღებასთან დაკავშირებული საფინანსო- ეკონომიკური გაანგარიშება:

დადგენილების ამოქმედებისთვის საბიუჯეტო სახსრები საჭირო არ არის.

გ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

დ) პროექტის ავტორი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

ე) პროექტის წარმდგენი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.

დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი- რუკა (დანართი №1) მ. 1:10,000



თბილისი
კარგად შეკავშირებული ქალაქი

მდებარე ქალაქი

ბუნებრივი მახასიათებლები

ფასეულობათა ბრალ

სარეკვიზიტო ბრალ

თბილისი მწვანე ქალაქი

თბილისი პომპაქტური ქალაქი

პოლიცენტრული განვითარება

პროგნოზული ინფორმაცია
ზონირება